სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 სექტემბერი 2026

N 636/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში, შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ნოვა“-ს (ს/კ: 202358126) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2026 წლის 5 ივნისს (წერილი N8474) წარმოდგენილი იქნა ქალაქ ბათუმში, პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N405/ს 16/06/2026) და ინფორმაციის გავრცელების მიზნით ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება, ასევე, დაინტერესებული საზოგადოებისთვის შენიშვნების წარმოდგენის ვადის განსაზღვრა.

წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“-ს მიერ.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

2018 წლის 1 მარტს ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-121).

2020 წლის 19 ოქტომბერს გაცემულ იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ,,ქალაქ ბათუმში შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” 2018 წლის პირველი მარტის №2-121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ბრძანება №2-937).

2022 წლის 11 მარტს შპს „ნოვა“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-121) გადაეცა შპს „ნოვა ფროდაქშენ“-ს (ბრძანება №2- 182). 2024 წლის 23 იანვარს შპს „ნოვა ფროდაქშენ“-ზე გადაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-121) კვლავ შპს „ნოვა“-ს გადაეცა (ბრძანება №2-24).

2019 წლის 15 თებერვალს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-147) ქალაქ ბათუმში, შპს ,,ნოვას" პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს. ასევე, 2023 წლის 5 დეკემბერს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №689/ს) ქალაქ ბათუმში, შპს ,,ნოვა ფროდაქშენის" პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს. ამასთან, 2024 წლის 1 მაისს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №230/ს) ქალაქ ბათუმში, შპს „ნოვას" პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს, ხოლო 2026 წლის 6 აპრილს გაცემულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N221/ს) ქალაქ ბათუმში, შპს „ნოვას" პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე, რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობის ცვლილება დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/10607) შპს „ნოვას" მიერ 2026 წლის 6 აგვისტოს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი N11983), რომელიც ეხება წარმოების პროცესში წარმოქმნილი პოლიეთილენის ამონაჭრებისა და წუნდებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციას, ასევე, საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული საწარმოების, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ნედლეულის შემოტანის/პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ ინფორმაციას. ამასთან, წარმოდგენილ იქნა განახლებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევისა და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N562/ს; 10/08/2026) მიერ. დაზუსტებული დოკუმენტაცია კოდექსის შესაბამისად, ასევე, განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმო მდებარეობს ქალაქ ბათუმში, შპს „ნოვა"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.32.06.948; ფართობი: 47 650 $მ^2$). აღნიშნული მიწის ნაკვეთი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული ზონირების რუკის მიხედვით, მდებარეობს სპეციალურ ზონაში, ასევე აეროპორტის დაცვის არეალში. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ნოვას" საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრის რადიუსში მდებარეობს - შპს „სტარ არ ჯის" ლამინირებული ფილების საწარმო, შპს ,,ეკოსთორიჯის'' სასაწყობე მეურნეობა და კომერციული ფართები, შპს "ოლდ ბათუმის" სპეც-ტექნიკის ბაზა და სხვა ობიექტები. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 860 მეტრში. საწარმოდან უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ჭოროხი) მდებარეობს 370 მეტრში.

ანგარიშში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია არაქმედების და ტექნოლოგიური ალტერნატივები. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ელექტროსტატიკური ფხვნილოვანი შეღებვის საამქროს მოწყობას, რადგან თხევადი საღებავებისგან განსხვავებით, ფხვნილოვანი ტექნოლოგია არ საჭიროებს ქიმიური გამხსნელების გამოყენებას. გარდა ამისა, ფხვნილოვანი ღებვის პროცესი ხასიათდება მაღალი რეკუპერაციით, რაც ამცირებს საღებავის დანაკარგს და მყარი ქიმიური ნარჩენების წარმოქმნას. ამასთან, ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან უპირატესობა მიენიჭა მექანიკური ლენტური ჭრის

ავტომატიზებული ხაზის მოწყობას, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს ტექნოლოგიური ნარჩენის წარმოქმნას, ხოლო ჭრისა და ფორმირების პროცესი მიმდინარეობს თერმული დამუშავების გარეშე, რაც გამორიცხავს ლითონის წვისა და თერმული აეროზოლების გამოყოფას ჰაერში (შავი მეტალების საამქრო). ასევე, წარმოდგენილი ინფორმაციით ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან შერჩეულ იქნა გადასაფუთი დანადგარის მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება მიმღები ბუნკერით და ქოლგისებრი გამწოვი სისტემით. დანადგარი მუშაობს მინიმალური საათობრივი დატვირთვით, ხოლო სპეციალური გამწოვი ეფექტურად აკავებს არაორგანულ მტვერს უშუალოდ გამოყოფის წყაროსთან. ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან აგრეთვე, შერჩეულ იქნა მაღალეფექტური ჰიდრავლიკური საპრესი დანადგარი „Fasamak“ (FSM-2), რომელიც ახდენს ნარჩენების მოცულობის შემცირებას მექანიკური დაწნეხვის გზით. ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო საქმიანობას წარმოადგენს პოლიეთილენის ფხვნილის დამუშავების გზით პოლიეთილენის პროდუქციის, მათ შორის წყლის ავზების წარმოება - რისთვისაც საწარმო აღჭურვილია 2 ერთეული „Polivinil“-ის მარკის (თითოეული – 3,2 ტ/დღ) წარმადობის მბრუნავი ჩამოსხმის, ასევე პოლიეთილენის ნარჩენების დამაქუცმაცებელი (1 000 კგ/დღღ) და გრანულების საფქვავი (300-400 კგ/დღღ) დანადგარებით. ასევე, საწარმოში ფუნქციონირებს შემდეგი საამქროები: პროფილების დამამზადებელი საამქრო, სახურავებისა და სახურავის აქსესუარების დამამზადებელი საამქრო, მეტალოკრამიტის დამამზადებელი საამქრო, შენობის ფასადის მოსაპირკეთებელი მასალის დამამზადებელი საამქრო, სახარატე საამქრო.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილია სხვადასხვა საამქროს დამატება, ასევე, წარმადობის გაზრდა. კერძოდ, საწარმოში განთავსებული 2 ერთეული „Polivinil“-ის მარკის დანადგარით გამოშვებული იქნება 2 112 ტონა/წელიწადში პროდუქცია, ნაცვლად წელიწადში 1 690 ტონის. ამასთან, პოლიეთილენის დამაქუცმაცებელ დანადგარზე, დაქუცმაცდება 1 500 კგ/დღღ (წლიურად: 495 000კგ) პოლიეთილენის ნარჩენი, ნაცვლად 1 000 კგ/დღღ, ხოლო გრანულების საფქვავ დანადგარზე 300-400 კგ/დღღ გრანულის ნაცვლად, დამუშავდება 3 500 კგ/დღღ (წლიურად 1 155 000 კგ). ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით, საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობა იქნება 24 საათი, ხოლო წლის განმავლობაში სამუშაო დღეთა რაოდენობად განსაზღვრული იქნება 330 დღე.

როგორც აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია სამღებრო საამქროს მოწყობა, სადაც დეტალების შეღებვის პროცესი განხორციელდება შემდეგი ტექნოლოგიით: უკვე ფორმირებული დეტალები დალაგდება სპეციალურ საკიდებზე (ჩარჩოზე), ჩარჩოზე განთავსებული ფორმები გადავა შეღებვის მაგიდაზე, წნევაზე მომუშავე „პისტოლეტით“ მოხდება ფხვნილით დაფარვა/შეღებვა, შეღებვის შემდეგ კი ღუმელში განთავსება (ზომის მიხედვით, სხვადასხვა რაოდენობები). კარის დაკეტვის შემდეგ ჩაირთვება დანადგარი, რის შემდეგაც დაახლოებით 1 სთ განხორციელდება გაგრილდება. გაგრილების შემდეგ მოხდება დეტალების ჩარჩოებიდან აღება, სხვადასხვა რაოდენობებად შეკვრა და პალეტებად საწყობში გადატანა. საამქროში განთავსდება ორი შეღებვის მაგიდა და ორი საშრობი, რომლებიც აღჭურვილი იქნება გამწოვი სისტემებით, თითოეული 13 მ სიგრძის და 728 მმ დიამეტრის გაფრქვევის მილებით. როგორც აღინიშნა, სამღებრო სამუშაოს დროს გამოიყენებენ ფხვნილოვან საღებავებს, წლიურად დაახლოებით 6 500 კგ. სამღებრო საამქრო წელიწადში იმუშავებს, 288 დღე, დღეში 16 სთ.

ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია შავი მეტალის საამქროს მოწყობა (ლითონის მილი და ლითონის პროფილი). საამქროში განთავსებულია 2 ერთეული საჭრელი დანადგარი, ასევე 3 ერთეული შედუღების აპარატი. შავი მეტალების საამქროს მუშაობის პრინციპი შემდეგია: საწარმოო ხაზზე განთავსდება ნედლეული (რულონი), რომლის სასურველი კომბინაციის მიხედვით დაჭრა ხდება ლენტური ჭრის დანადგარზე. დაჭრილი ლენტები განთავსდება მბრუნავ ჰიდრავლიკურ მექანიზმზე, საიდანაც ხიდურა ამწით მიეწოდება მილკვადრატების საწარმოო ხაზს ან განთავსდება საწყობში. ანგარიშის მიხედვით, განივი ლენტური ლისტების წარმოების დროს, დანადგარის მართვის პანელზე განხორციელდება ცხლად ნაგლინის/მოთუთიებული ნაგლინის ლისტებად დაჭრის პროცესი და ანტიკოროზიულ ხსნარში გარეცხვის შემდეგ მოხდება შედუღება და შემდგომ წყლის საშუალებით გაგრილება (გაგრილებისთვის გამოყენებული წყალი ბრუნვით ციკლშია ჩართული ხოლო სისტემაში პერიოდულად ემატება მხოლოდ აორთქლებისა და დანაკარგების საკომპენსაციო წყალი). პროდუქცია დაფასოვდება და ხიდურა ამწის საშუალებით გადავა სასაწყობე ზონაში. შავი მეტალის საამქროში წარმოქმნილი ლითონის ნარჩენები, მათ შორის ტექნოლოგიური ჭრისა და დამუშავების პროცესში მიღებული ნამზადის ნარჩენები გადატანილი იქნება სპეციალურად გამოყოფილ ჯართის დროებითი განთავსების უბანზე. წელიწადში დამუშავდება 50 000 ტ მეტალი. საამქრო წელიწადში იმუშავებს 288 დღე, დღეში 16 საათი.

როგორც აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია გადასაფუთი დანადგარის მოწყობა, სადაც მოხდება დაზიანებული წებო-ცემენტის ტომრების გადაფუთვა. დანადგარი აღჭურვილი იქნება მიმღები ბუნკერით და ქოლგისებრი გამწოვი სისტემით. დანადგარი იმუშავებს თვეში ორი დღე, წელიწადში 24 დღე და სულ გადაიფუთება დაახლოებით 700 ტომარა წებო-ცემენტის დაზიანებული ტომრები (საათში დაახლოებით - 4 ტომარა).

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია ,,Fasamak"-ის მარკის ჯართის საპრესი დანადგარის მოწყობა. აღნიშნულ დანადგარზე წელიწადში დაიპრესება დაახლოებით 362 195 კგ ჯართი (დანადგარის წარმადობაა 3-4 ტ/სთ). დანადგარზე დაიპრესება მხოლოდ საწარმოში განთავსებული საამქროების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები(ნარჩენის კოდები: 12 01 03, 12 01 04). ჯართის საპრეს დანადგარში არ მოხვდება შავი ლითონის საამქროში წარმოქმნილი ლითონის ნარჩენი.

ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში ასევე, მოხდება სარეზერვო დიზელ-გენერატორის (500 კვტ, 100 ლ/სთ დიზელი) მოწყობა.

ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. საწარმოს სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხორციელდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი წელიწადში შეადგენს 7 425 მ³. საწარმოო პროცესში წყლის გამოყენება ხდება გაგრილების სისტემისთვის (გამაგრილებელ კამერაში). საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ჩამდინარე წყლების წარმოქმნა დაკავშირებული იქნება სამეურნეო-ფეკალური წყლების წარმოქმნასთან, რომლის რაოდენობა შეადგენს 7 053.75 მ³/წელ. წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ქსელიდან ხვდება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში. ანგარიშის თანახმად, სანიაღვრე-წვიმის წყლები იკრიბება ტერიტორიაზე მოწყობილ მიწისქვეშა შემკრებ ჭებში, საიდანაც ჩაედინება ქალაქის სანიაღვრე წყლების შემკრებ სისტემაში.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწამოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები, როგორიც არის: მანგანუმის ოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, ტოლუოლი, ეთილის სპირტი, ძმარმჟავა(ეთანმჟავა), მყარი ნაწილაკები, არაორგანული მტვერი. კუმულაციური ზემოქმედების სახით ანგარიშში გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარედ არსებული შპს „სტარ არ ჯის“ ლამინირებული ფილების საწარმოს მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები. გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი ფონური მაჩვენებლები და საკურორტო ზონებისთვის განსაზღვრული შესწორების კოეფიციენტი - 0,8, ისე კანონმდებლობით განსაზღვრული ქ. ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი მნიშვნელობები,ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია საწარმოს განთავსების 500 მ-ნი რადიუსის ზოლში, (მყარი ნაწილაკების მაქსიმალური კონცენტრაცია, ზდკ-ს წილი 0.601მგ/მ^3) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. შესაბამისად საწარმოს ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ადგილი ექნება როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, კონტეინერებში, რომელიც შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პოლიეთილენის პროდუქციის წარმოების შედეგად წარმოქმნილი პოლიეთილენის ამონაჭრები და წუნდებული პროდუქცია განიხილება, როგორც შიდა ტექნოლოგიური მასალა და არა ნარჩენი. აღნიშნული მასალა საწარმოშივე, გადადის საფქვავ დანადგარზე და მიღებული ფხვნილის სახით სრულად ბრუნდება პირველად საწარმოო ციკლში ხელახალი პროდუქციის დასამზადებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების გამო, დროებით ვერ მოხდება შიდა ამონაჭრებისა და წუნდებული პროდუქციის საწარმოო ციკლში დამუშავება/დაფქვა (მაგ. დანადგარების გაუმართაობის გამო), ტერიტორიაზე აღნიშნული მასალების ზედმეტი/დიდი რაოდენობით დასაწყობებისა და გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, დროებით განიხილება ნარჩენად (ნარჩენის კოდი: 07 02 13) და ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, გადაეცემა შესაბამის ნებართვის მქონე კომპანიას. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება საწარმოს მიმდებარედ განლაგებულ ურნებში, რომელთა განტვირთვას ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალური სამსახური.

ანგარიშის თანახმად, ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, პოლიეთილენის პროდუქციის დამამზადებელი (,,Polivinil''-ის მარკის) ტექნოლოგიური ხაზების მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონეა 65 დბა, საფქვავი და დამაქუცმაცებელი დანადგარების ხმაურის დონე - 60 დბა, ხოლო პოლიეთილენის პროდუქციის დამამზადებელი (,,Polivinil''-ის მარკის) ტექნოლოგიურ ხაზების, ასევე, საფქვავი და დამაქუცმაცებელი დანადგარების მიერ წარმოქმნილი ხმაურის ჯამური დონეა 69,2 დბა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური ხაზების, დანადგარისა და საწარმოს სხვა საამქროების სრული დატვირთვის მუშაობის შემთხვევაში, ხმაურის ჯამური დონე იქნება 96,5 დბა. ჩატარებული ხმაურის დონის გავრცელების მოდელირების მიხედვით დადგინდა, რომ საკვლევი ზონიდან უახლოეს მოსახლემდე (860 მეტრი) ხმაურის მაქსიმალური დონე იქნება 27.4 დბა, რაც არ არ

აჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ მნიშვნელობებს. ამასთან, ანგარიშის მიხედვით, საწარმოო ტექნოლოგიური ხაზები განთავსებულია დახურულ შენობაში, რომლის კედლები შეამცირებენ ხმაურის გავრცელების დონეს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. ამასთან, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების განხორციელებისას ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება, ხოლო ვინაიდან, საწარმოს ტერიტორია დაფარულია მყარი საფარით, აღნიშნული გამორიცხავს მიწისქვეშა და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება აეროპორტის გზატკეცილი (ს-2). საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ ითვალისწინებს ახალი მისასვლელი გზების მოწყობას, არსებული ქუჩების რეკონსტრუქციას ან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დამატებით დატვირთვას. ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება არსებული საგზაო ქსელის გამოყენებით. დღის განმავლობაში მოსალოდნელია საშუალოდ 6-8 სატრანსპორტო ოპერაცია. სატრანსპორტო ოპერაციები დაგეგმილია დღის საათებში. ტრანსპორტირების ინტენსიობის გათვალისწინებით, საქმიანობის განხორციელება სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ხვდება ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის – „ჭოროხის დელტა“ (Chorokhi Delta – GE0000054) საზღვრებში. ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, საველე კვლევისა და ლიტერატურული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა „ზურმუხტის ქსელის“ საიტის „Chorokhi Delta“-ს (GE0000054) განსაზღვრულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე ზემოქმედების შეფასება. 2026 წლის მაისის თვეში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ძუძუმწოვრებიდან საკვლევ ტერიტორიაზე ვხვდებით: წავს *(Lutra lutra),* ზღვის ღორს *(Phocoena phocoena)*, აფალინას *(Tursiops truncatus).* ფრინველებიდან ვხვდებით: შავშუბლა ღაჟოს *(Lanius minor)*, თეთრკუდა ფსოვი *(Haliaeetus albicilla)*, ველის ძელქორს (Circus macrourus) და სხვა. „ჭოროხი დელტას“ (GE0000054) ზურმუხტის ქსელის საიტის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული თევზების სახეობებია: შავი ზღვის ქაშაყი *(Alosa immaculata),* აზოვის ქაშაყი *(Alosa tanaica),* ჭერეხი *(Aspius aspius).* ქვეწარმავლებიდან ვხვდებით, ჭაობის კუს *(Emys orbicularis).* შეფასების შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების პირობებში, საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობა არ გამოიწვევს ზურმუხტის ქსელის საიტის კონსერვაციულ ღირებულებებზე, დაცულ ჰაბიტატებსა და სახეობებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას და არ დაარღვევს საიტის ეკოლოგიურ მთლიანობას. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ქალაქ ბათუმში, პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს საპროექტო არეალში სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღითსარგებლობის ლიცენზია არ ფიქსირდება, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, საწარმოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია არ არის გაცემული.

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის მიმდებარედ ზემოქმედების ზონაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის საწარმოები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუმულაციური ეფექტის დასადგენად გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა შპს „სტარ არ ჯი“-ის ლამინირებული ფილების საწარმოს საქმიანობების პერიოდში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებიც. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (860 მეტრი) მიმართებაში არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, ხოლო სატრანსპორტო ოპერაციების რიცხოვნობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

როგორც აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ასევე დამატებითი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშთან, ასევე დამატებით დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7[1] მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12[1] ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმში, შპს „ნოვა“-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ნოვა“ **ვალდებულია:**

   ა) ექსპლუატაციის პირობის ცვლილება უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, თანდართული და დაზუსტებული დოკუმენტაციის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ზზშ-ის ანგარიშსა და მასში მოცემულ მონიტორინგის გეგმაში მითითებული შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილების და სხვა პრევენციული ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში ასევე ასახული უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები და ინფორმაცია შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს შესახებ. უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერზე(TSP), აზოტის დიოქსიდზე(NOx) და ნახშირბადის ოქსიდზე(CO) საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში 6 თვეში ერთხელ და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ (ძმარმჟავა (ეთანმჟავა) არ წარმოადგენს ინსტრუმენტულ მონიტორინგს დაქვემდებარებულ ნივთიერებას);

დ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ე) უზრუნველყოს ზზშ-ის ანგარიშში („ზურმუხტის ქსელის საიტის - „Chorokhi Delta“ (GE0000054) ტერიტორიაზე პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შეფასება ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლის შესაბამისად“) მოცემული მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული დაკვირვების ქმედებების გავრცელება მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის, ასევე მონიტორინგის ანგარიშების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, ამავე გეგმის შესაბამისად;

ვ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ხმაურის გავრცელების ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

ზ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობების კონტროლი;

თ) შპს „ნოვა“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2018 წლის 1 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-121) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;

ი) ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს **შპს „ნოვა“-ს**;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს **შპს „ნოვა“-ს** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/636-21-4-202609041641

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE